*დანართი №2*

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

### საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

„ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო და "ქართული ლიტერატურის ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი

### უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
6-7 დეკემბერი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
26. 01. 23

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 6

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 14

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 14
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 35
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 50
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 60
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 82

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამთა კობახიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ქოთოლაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 | პროგრამა 3 | პროგრამა 4 | პროგრამა 5 | პროგრამა 6 | პროგრამა 7 | პროგრამა 8 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ქართული ფილოლოგია/ Georgian Philology | ქართული ლიტერატურის ისტორია/ History of Georgian Literature | | | | | | |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი | აირჩიეთ შესაბამისი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი Bachelor of Georgian Philology | ქართული ლიტერატურის ისტორიის მაგისტრი Master of History of Georgian Literature | | | | | | |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა Literature and Linguistics | 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა Literature and Linguistics | | | | | | |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | | | | | | | | |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული | | | | | | |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 | 120 | | | | | | |

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული 8.XI.2012 #620 | აკრედიტებული 8.XI.2012 #620 | | | | | | |

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[2]

სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ფილოლოგიის კლასტერში წარმოდგენილია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა. შინაარსობრივი თვალსაზრისით პროგრამები დაკავშირებულია ერთმანეთთან და არის ერთმანეთის განვითარება. კლასტერულად დაჯგუფებული პროგრამების საერთო მახასიათებელია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ასევე, ქართული ფილოლოგიის დარგი.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 2008 წლიდან. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და ქართული ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის ბოლო აკრედიტაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში განხორციელდა 2012 წელს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარსიხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 2 22 0001498362 (24/11/2022) თანახმად, 2022 წლის ექვს-შვიდ დეკემბერს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი კლასტერული პროგრამების: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის შეფასების მიზნით შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, ნინო ფხაკაძე, თამთა კობახიძე, ნინო ქოთოლაშვილი. ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო კლასტერულად დაჯგუფებული ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისა და ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამების მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტის დროს შედგა შეხვედრები სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამების თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროგრამების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამების სტუდენტებთან და პროგრამების კურსდამთავრებულებთან.

დასასრულს, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და პროგრამის ხელმძღვანელებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისია სტანდარტებთან.

მეორე სტანდარტი შესაბამისია სტანდარტებთან.

---

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მესამე სტანდარტი შესაბამისია სტანდარტებთან.

მეოთხე სტანდარტი შესაბამისია სტანდარტებთან.

მეხუთე სტანდარტი შესაბამისია სტანდარტებთან.

ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამები ეყრდნობა ფილოლოგიის დარგის უმაღლესი განათლებლის მახასიათებელს, კლასტერული გაერთიანება არის ლოგიკური, არის ორიენტირებული შრომის ბაზარზე, თუმცა საჭიროებს ცალკეული სასწავლო კურსების, ასევე, საკვალიფიკაციო ნაშრომების დახვეწა-გაუმჯობესებას.

- რეკომენდაციები
  - რეკომენდებულია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებსა და მათ შინაარსში აისახოს სწავლების მიზნები სრულფასოვნად, რათა გამოირიცხოს სწავლების მიზნების ორაზროვნება ცალკეული სასწავლო კურსების დონეზე.
  - მოხდეს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგებით განსაზღვრული საკითხების სრულფასოვნად ასახვა სასწავლო კურსებში.
  - რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასებაში აისახოს სწავლების საკვანძო შედეგები და მისი შესაბამისი სასწავლო კურსები, შეფასების მექანიზმები და სამიზნე ნიშნულები.
  - გადამუშავდეს თემატიკა და შეივსოს კლასტერში გაერთიანებული სასწავლო კურსები თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და ნაშრომების მიხედვით.
  - რეკომენდებულია სასწავლო კურსის "ქართველურ ენა-კილოთა სახელის პარადიგმა" სახელწოდების შეცვლა და კურსის შინაარსის გადამუშავება იმგვარად, რომ იგი სრულ შესაბამისობაში იყოს როგორც პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან, ისე ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელთან.
  - რეკომენდებულია, გადამუშავდეს "დიალექტოლოგიის" სასწავლო კურსი, შეივსოს შესაბამისი თემატიკით და ეწოდოს :"ქართული დიალექტოლოგია".
  - რეკომენდებულია, სასწავლო კურსის: "დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია" და არჩევითი სასწავლო კურსის: "დასავლეთის ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პრობლემები" თემატური და შინაარსობრივი განმეორებების თავიდან ასაცილებლად გადამუშავდეს სასწავლო კურსები და სავალდებულო ლიტერატურა.
  - რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო კურსების „ლიტმცოდნეობის შესავალი" და „პალეოგრაფია" ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი ნაშრომებით. მაგ. "ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი", რედ. ი. რატიანი, თბ., 2006. იხ. ბმული: http://literaturatmcodneoba.tsu.ge/lit.mc.shesa.pdf; დარეჯან თვალთვაძე "სასწავლო წიგნი ქართულ პალეოგრაფიაში:, თბ., 2006, გამომცემლობა „ნეკერი".
  - რეკომენებულია, სავალდებულო სასწავლო კურსში: "თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების ტენდენციები" შეივსოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა რელევანტური მასალით.

- რეკომენდებულია, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, ან საერთოდ გამოირიცხოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში ხელმძღვანელის შეფასება.
- გაუმჯობესდეს ხელმძღვანელთა კონსულტაციები საკვალიფიკაციო ნაშრომებში აკადემიური წერის სტანდარტების შესრულების შესახებ.
- რეცენზენტებმა რეცენზირებისას აჩვენონ რეალური უკუკავშირი, ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეებით და რეკომენდაციებით.
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტი, მოხდეს საკვლევი პრობლემატიკის მიზნობრივი იდენტიფიცირება, დაიხვეწოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების სათაურები, დაცული იყოს აკადემიური ნაშრომის შესრულების სტანდარტი, ნაშრომებში გამოყენებული იყოს რელევანტური სამეცნიერო წყაროები და სამეცნიერო სტილი.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

  - სასურველია, სასწავლო კურსის დასახელება დაზუსტდეს და ეწოდოს "ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი".
  - სასურველია, შეიცვალოს/დაზუსტდეს სასწავლო კურსის "კულტუროლოგია" სახელწოდება და ეწოდოს „კულტურის კვლევები" ან „კულტურის კვლევების შესავალი".
  - სასურველია, სასწავლო კურსი "კულტუროლოგია" შეივსოს სასწავლო კურსის სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა შემდეგი ნაშრომებით: ლევან ცაგარელი, *კულტურის კვლევების შესავალი,* ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016 წ.; კულტურა და რელიგია სამხრეთ კავკასიაში (სალექციო კურსი). თბ., გამომც. "ნეკერი", 2006.
  - სასურველია, დაზუსტდეს სასწავლო კურსის, "ქართული ემიგრანტული და საზღვარგარეთული ქართველოლოგია" სათაური და ეწოდოს "ემიგრანტული და საზღვარგარეთული ქართველოლოგია".
  - სასურველია, ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მიღების წინაპირობები დაკონკრეტდეს და სწავლის უფლება შეძლონ ჰუმანიტარული და მომიჯნავე დარგების ბაკალავრებმა.
  - სასურველია, შემუშავდეს და განხორციელდეს პროგრამები და პროექტები ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის.
  - სასურველია, სტუდენტებმა უფრო მეტად გამოიყენონ პრაქტიკულად სამეცნიერო ბაზები, რასაც ხელს შეუწყობს უცხო ენის ფლობის დონის გაუმჯობესება, რაც სათანადო პროგრამების ინტერესებშია.
  - პროგრამების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად სასურველია გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ფინანსური ღონისძიებები.
  - სასურველია, უნივერსიტეტს ჰქონდეს კონკრეტული საბაკალავრო პროგრამის ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის ანალიზი.
  - სასურველია, უნივერსიტეტს ჰქონდეს კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის ფინანსური რესურსების უზრუნველყოფის ანალიზი.
  -

- საკრედიტაციოდ წარმოდგენილ მასალებში ტექნიკური უზუსტობების თავიდან აცილების მიზნით სასურველია პროგრამის შემოწმების მექანიზმების შემუშავება.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა დასკვნის გაცნობის შემდეგ უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და მტკიცებულებები. უნივერსიტეტი ეთანხმება ექსპერტთა მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს და წარმოადგენს გაუმჯობესების ამსახველ დოკუმენტაციას. კერძოდ:

რეკომენდებულია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებსა და მათ შინაარსში აისახოს სწავლების მიზნები სრულფასოვნად, რათა გამოირიცხოს სწავლების მიზნების ორაზროვნება ცალკეული სასწავლო კურსების დონეზე.

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას და აღნიშნავს: „ ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად, მოდიფიცირდა სასწავლო კურსებში სწავლების მიზნები. რაც შეეხება ორაზროვნებას ცალკეული სასწავლო კურსების დონეზე, ფილოლოგიის დარგში ცოტა რთულია ავარიდოთ ორაზროვნებას თავი. კონკრეტულ შემთხვევებში ეს მხოლოდ ცოდნის გაღრმავებას ემსახურება და არ მიგვაჩნია საზიანო".

მოხდეს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგებით განსაზღვრული საკითხების სრულფასოვნად ასახვა სასწავლო კურსებში.

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას და აღნიშნავს: „ექსერტთა რეკომენდაციების შესაბამისად, ცალკეულ სასწავლო კურსებში მოხდა ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული საკითხების. (წარმოდგენილია მოდიფიცირებული სილაბუსები)".

რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასებაში აისახოს სწავლების საკვანძო შედეგები და მისი შესაბამისი სასწავლო კურსები, შეფასების მექანიზმები და სამიზნე ნიშნულები.

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას.

გადამუშავდეს თემატიკა და შეივსოს კლასტერში გაერთიანებული სასწავლო კურსები თანამედროვე სახელმძღვანელოებისა და ნაშრომების მიხედვით.

---

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას, წარმოდგენილია გადამუშავებული სილაბუსები საგნებში: ”ქართული დიალექტოლოგია“, “ქართველურ ენა-კილოთა სახელის პარადიგმა”, “დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია”, “დასავლეთის ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პრობლემები”, “ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი”,

რეკომენდებულია სასწავლო კურსის “ქართველურ ენა-კილოთა სახელის პარადიგმა” სახელწოდების შეცვლა და კურსის შინაარსის გადამუშავება იმგვარად, რომ იგი სრულ შესაბამისობაში იყოს როგორც პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან, ისე ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელთან.

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას და აღნიშნავს: “ქართველურ ენა-კილოთა სახელის პარადიგმა” არჩევითი სასწავლო კურსია, გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაცია, სასწავლო კურსის სახელწოდება შეიცვალა და ეწოდა ,,ქართველური სახელების ბრუნების პარადიგმა“. (წარმოდგენილია მოდიფიცირებული სილაბუსი)“

რეკომენდებულია, გადამუშავდეს “დიალექტოლოგიის” სასწავლო კურსი, შეივსოს შესაბამისი თემატიკით და ეწოდოს :”ქართული დიალექტოლოგია”.

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას და აღნიშნავს: „რეკომენდაციას ვეთანხმებით, შესრულებულია, “დიალექტოლოგიის” სასწავლო კურსს ეწოდა ”ქართული დიალექტოლოგია” და შეივსო შესაბამისი თემატიკით. (წარმოდგენილია მოდიფიცირებული სილაბუსი)“.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსის: “დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია” და არჩევითი სასწავლო კურსის: “დასავლეთის ლიტერატურის უმნიშვნელოვანესი პრობლემები” თემატური და შინაარსობრივი განმეორებების თავიდან ასაცილებლად გადამუშავდეს სასწავლო კურსები და სავალდებულო ლიტერატურა.

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას და წარმოადგინა მოდიფიცირებული სილაბუსები.

რეკომენდებულია, განახლდეს სასწავლო კურსების „ლიტმცოდნეობის შესავალი“ და „პალეოგრაფია“ ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი ნაშრომებით. მაგ. “ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი”, რედ. ი. რატიანი, თბ., 2006. იხ. ბმული: http://literaturatmcodneoba.tsu.ge/lit.mc.shesa.pdf; დარეჯან თვალთვაძე “სასწავლო წიგნი ქართულ პალეოგრაფიაში:, თბ., 2006, გამომცემლობა „ნეკერი“.

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას, წარმოდგენილია მოდიფიცირებული სილაბუსი.

რეკომენებულია, სავალდებულო სასწავლო კურსში: “თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრების ტენდენციები” შეივსოს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა რელევანტური მასალით.

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას, წარმოდგენილია მოდიფიცირებული სილაბუსი.

რეკომენდებულია, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, ან საერთოდ გამოირიცხოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში ხელმძღვანელის შეფასება.

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას.

გაუმჯობესდეს ხელმძღვანელთა კონსულტაციები საკვალიფიკაციო ნაშრომებში აკადემიური წერის სტანდარტების შესრულების შესახებ.

უნივერსიტეტი რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტებს აქვთ შეუზღუდავი შესაძლებლობა იკონტაქტონ (გარდა საკონტაქტო ან საკონსულტაციო საათებისა) აკადემიურ პერსონალთან როგორც პიდაპირ, ისე ონალიან. ამდენად აღნიშნული საკითხი დაძლეულია. ასევე უნივერსიტეტში მოქმედებს საერთაშორისო პროექტის INTEGRITY-ის ფარგლებში დაფუძნებული აკადემიური წერის ცენტრი, რომელიც ღიაა ყველა იმ სტუნდეტისათვის და დაინტერესებული პირისთვის, რომელსაც უწევს მუშაობა წერით კომპონენტებზე კვლევითი უნარების გაუმჯობესების მიზნით“. ექსპერტთა აზრით, უნივერსიტეტში ვიზიტის დროს და საკვალიფიკაციო ნაშრომების გაცნობის დროს გამოიკვეთა, რომ გასაუმჯობესებელია ნაშრომების აკადემიური დონე: ნაშრომის დიზაინი, სამეცნიერო სტილი, ლექსიკა, ციტირების წესების დაცვა და სხვ.

რეცენზენტებმა რეცენზირებისას აჩვენონ რეალური უკუკავშირი, ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეებით და რეკომენდაციებით.

უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციას.

რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტი, მოხდეს საკვლევი პრობლემატიკის მიზნობრივი იდენტიფიცირება, დაიხვეწოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების სათაურები, დაცული იყოს აკადემიური ნაშრომის შესრულების სტანდარტი, ნაშრომებში გამოყენებული იყოს რელევანტური სამეცნიერო წყაროები და სამეცნიერო სტილი.

რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ „სასწავლო უნივერსიტეტის პრაქტიკა უჩვენებს, რომ წერითი დავალებების კვლევითი კომპონენტები და არა მარტო სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი კომპონენტი მუდმივად იხვეწება, განახლდება. აღნიშნული საკითხი პირდაპირაა მიბმული რეგიონის, მუნიციპალიტეტის მოთხოვნებსა და საჭიროებებს და შესაბამისად შესაძლებელია იცვლებოდეს მიზნობრიობისა და თემატიკის მიხედვით. შესაძლებელია განვიხილოთ საკითხი რეგიონში ჩატარებული შესაბამისი კვლევისა და მუნიციპალიტეტის საჭიროებების მიხდვით დავასახელოთ საკვლევი თემებიც“. ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია სამაგისტრო ნაშრომებში საკვლევი პრობლემატიკის შერჩევის დროს ნაშრომი იყოს მიზანზე ორიენტირებული, გამოიკვეთოს სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, კვლევის სიახლე, გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომის ფორმალური და შინაარსობრივი ასპეტები და სხვ.

უნივერსიტეტი არგუმენტირებულ პოზიციაში მიუთითებს, რომ ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი რჩევები მისაღებია.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები |
|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | |

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები:** <u>საჭიროების შემთხვევაში</u> აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტების შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამები: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა და ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლების საფეხურის თავისებურებებს, პროგრამების მიზნები შეესაბამება ფილოლოგიის დარგს. კლასტერში გაერთიანებული პროგრამები დაკავშირებულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიასთან კერძოდ, ცოდნის გენერირებისა და გავრცელების, სამეცნიერო კვლევის განვითარების, ასევე, ეროვნული და უნივერსალური ღირებულებების დამკვიდრების თვალსაზრისით. ფილოლოგიის კლასტერში წარმოდგენილი პროგრამის მიზნები შეესაბამება ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიან გეგმას და საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტრატეგიულ ხედვებსა და ამოცანებს. ამასთან, უნივერსიტეტს აქვს სტრატეგიული

მდებარეობა, არის აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიასთან და გამყოფ ხაზთან ახლოს მდებარე ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რაც კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენს განათლების გავრცელების თვალსაზრისით.
ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამები ორიენტირებულია ქართული ფილოლოგიის დარგზე, ასევე, ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებაზე. უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამების განვითარებასა და ინტერნაციონალიზაციაზე. პროგრამები ძირითად შემთხვევაში, ეყრდნობა ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)[6]

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაში დარგისთვის აუცილებელი ფართო ცოდნა მისცეს სტუდენტს ინტერდისციპლინური საკითხების, როგორიცაა: ქართული ლიტერატურისა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, ქართული ფოლკლორის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევების, ლიტერატურული მოვლენებისა და პროცესების, დარგის ძირითადი მეთოდებისა და კონცეფციების ახალი ასპექტების შესახებ.

დარგისთვის აუცილებელი ცოდნის პარალელურად პროგრამა მიზნად ისახავს ფილოლოგიის ბაკალავრს შეეძლოს დარგის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულად გააზრება და საერთაშორისო კულტურული მოვლენების პარალელურად ეროვნული ფასეულობების წინ წამოწევა და მათი შედარების საფუძველზე ნაციონალური ღირებულებების გამოვლენა.

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, ფილოლოგიის დარგს, საბაკალავრო საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

---

[6] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან. სწავლების მიზნები სრულყოფილად უნდა იყოს ასახული სწავლების შედეგებსა და სასწავლო კურსებში. აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული შეუსაბამობანი. დეტაულრად იხ. 1. 2; 1. 3; 1. 5.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის მიზნებია: მაგისტრანტის ცოდნის გაღრმავება ქართულ ლიტერატურაში; თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რათა მას, როგორც კვალიფიციურ სპეციალისტს, შეეძლოს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება, საზღვარგარეთის ქვეყნების სპეციალისტებთან საქმიანობის წარმართვა. ქართული ლიტერატურის ადგილის განსაზღვრა მსოფლიო ლიტერატურაში; მაგისტრანტების მომზადება ქართული ლიტერატურის ისტორიის, კონკრეტულ ქართველ მწერალთა მემკვიდრეობის, ლიტერატურული კრიტიკის სფეროებში მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში, აგრეთვე, ლიტერატურული ურთიერთობების პრობლემატიკაში პედაგოგიური, სამეცნიერო და სხვა პრაქტიკული საქმიანობისათვის; მხატვრული ლიტერატურის პრაქტიკული, თეორიული და მეცნიერული შესწავლის კულტურის საფუძვლის შექმნა; ანალიტიკური აზროვნებისა და პროფესიული წერის, კვლევის (სამეცნიერო სტატია ან წერილი, გამოკვლევა) უნარის განვითარება, დამოუკიდებელი ანალიზისა და ინტერპრეტაციის ჩვევების გამომუშავება და რეალიზაცია; მაგისტრანტების საფუძვლიანად გარკვევა ლიტერატურის არსში, კონკრეტულ და საზოგადოებრივ დანიშნულებაში, კერძოდ, როგორ შედის იგი დღევანდელი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რა ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ცნობიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე; განსხვავებული ლიტერატურათმცოდნეობითი და ლექსმცოდნეობითი მეთოდოლოგიური სისტემების არსში გარკვევის უნარის ჩამოყალიბება და მისი ათვისების საფუძვლის შექმნა. ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალობის კონკურენტუნარიან ფილოლოგთა მომზადება და ამ სფეროს სპეციალისტთა ინტეგრაცია ლიტერატურათმცოდნეთა საერთაშორისო სივრცეში; შესძინოს სტუდენტს ის უნარ-ჩვევები,რომლებიც სჭირდება სწავლების შემდეგი საფეხურისათვის.

პროგრამის მიზნები ფართოდ ასახავს ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში სამაგისტრო პროგრამის საკითხებს. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია ქართული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 1)
- ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია;

- უნივერსიტეტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერულად დაჯგუფების წესი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები -** წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები -** არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

რეკომენდებულია, ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებსა და მათ შინაარსში აისახოს სწავლების მიზნები სრულფასოვნად, რათა გამოირიცხოს სწავლების მიზნების ორაზროვნება ცალკეული სასწავლო კურსების დონეზე.

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 3** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 4** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 5** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 6** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 7** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 8** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება [7]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

[7] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

| კომპონენტი<br>1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგები გამომდინარეობს სწავლის მიზნებიდან, არის ლოგიკური და თანმიმდევრული. სწავლის შედეგები განსაზღვრულია ცოდნის, უნარების, კომპეტენციების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურების მიხედვით. კერძოდ, კლასტერში გაერთიანებულ პროგრამებში აღწერილი სწავლის შედეგები ორიენტირებულია დარგის არსის, ქართული ფილოლოგიის დარგის განვითარების ეტაპებზე, ქართული ენის, ქართველური ენების, ქართული ლიტერატურის

ისტორიის, ქართული სალიტერატურო ენის, ლიტერატურის თეორიის და სხვა საკითხების განვითარების სწავლებაზე.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად, შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. ჩამოყალიბებულია ცოდნა-გაცნობიერების, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიხედვით. პროგრამის სწავლის შედეგებია: აყალიბებს ქართული სალიტერატურო ენისა და ლიტერატურის ისტორიას, ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და განვითარების შესახებ ინფორმაციას. ქართული ლიტერატურის პერიოდებსა და იმ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოვლენებს, რომლებმაც იქონიეს გავლენა ლიტერატურულ და ენობრივ პროცესებზე. ლიტერატურული ნაწარმოებების მხატვრული ღირებულებების საკითხებს. ასევე ქართულ-ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობებს და იმ კულტურულ კავშირებს უძველეს ცივლიზაციებთან, რომლებიც განაპირობებდნენ ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ პროცესებსა და იმ ეროვნულ ფასეულობებს, რომლებმაც შექმნა მსოფლიო უძველესი და თანამედროვე ლიტერატურულ-კულტურული მოვლენები. აღწერს ქართული ენის სტრუქტურისა და ფუნქციონირების საბაზისო საკითხებს, მათ შორის ძველი ქართული ენის, მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის, ქართული ზეპირსიტყვიერების პროცესებს ქართველური ენათმეცნიერების ფართო ცოდნით; ასევე დიგიტალური ქართველოლოგიის თანამედროვე მიღწევებით კორპუსლინგვისტიკაში დამკვიდრებულ ცნებებს. მსჯელობს ქართველური ენათმეცნიერების ძირითად საკითხებზე დარგობრივი მიდგომით; პრაქტიკულად იყენებს ქართული ენის სტრუქტურულ კომპონენტებს; ფლობს საანალიზო მასალის შეგროვება-დამუშავების საველე და/ან სხვა მეთოდებს. პროგრამის სწაცლის შედეგებით გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება.

პროგრამის სწავლის შედეგები არის ლოგიკური, ძირითადად, ემყარება ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს, ბაკალავრიატის ნაწილს. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასწავლო კურსებით. სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებზე დაკვირვების დროს იკვეთება გარკვეული საკითხები, რომელიც სწავლის შედეგების მიღწევადობას სრულად ვერ უზრუნველყოფს. დეტალურად იხ. 1. 5.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)

ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. სწავლის შედეგებით განსაზღვრულია

სტუდენტებისათვის ქართული ლიტერატურის ისტორიის ტრადიციული და თანამედროვე კვლევების მიხედვით სწავლება, ასევე, დარგისათვის მნიშვნელოვანი საკითხების სწავლება მსოფლიო ლიტერატურის, ლიტერატურის თეორიის, ლიტერატურათმცოდნეობისა და სხვ. მიმართულებით. ასევე, პროგრამაზე შემსწავლელთათვის სავალდებულოა სამაგისტრო ნაშრომის შესრულება. პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია ცოდნა-გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტების მიხედვით. ქართული ლიტერატურის ისტორიის პროგრამაზე განსაზღვრულია შემდეგი შედეგების მიღწევა: აღწერს, ჩამოთვლის, არჩევს, აჯამებს და განმარტავს ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებსა და პრინციპებს, მის გამოვლინებებს ძველ, XIX და XX საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. განსაზღვრავს და წარმოაჩენს სახეობრივი სისტემის ძირითად ასპექტებს, რაც საშუალებას მისცემს მას უკეთ დასპეციალდეს ლიტერატურის სფეროში. ადარებს, გადახედავს, აღწერს და აფასებს ქრისტიანული ხელოვნების, კერძოდ, ლიტერატურის ძირითად პრინციპებს, შუასაუკუნეების მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, აზოგადებს, ადგენს და არკვევს მათი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. საჭიროებისამებრ იყენებს ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინოლოგიური აპარატის საბაზო სწავლებისას მიღებულ ცოდნას თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით. სიღრმისეულად განსაზღვრავს ლექსმცოდნეობით თეორიებსა და მეთოდებს, რომელსაც ეფუძნება მხატვრული ლიტერატურის კვლევა. იძენს ცოდნას ქართული და დასავლური ლიტერატურული აზროვნების განვითარების სფეროში, ერთმანეთთან აკავშირებს ძველი და XIX-XX საუკუნეების ლიტერატურის პრობლემატიკას, აღწერს და ხსნის ამ პერიოდის ლიტერატურულ ძეგლებს და ემზადება ამ სფეროში კვლევისათვის. არჩევითობის გათვალისწინებით, განსაზღვრავს კონკრეტულ შემოქმედთა - შოთა რუსთველისა და მისი პოემის, ქართველ რომანტიკოსთა, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის - ადგილს დასავლური რენესანსული ლიტერატურის კონტექსტში, აანალიზებს მათ მემკვიდრეობაში ძირითად ლიტერატურულ-ესთეტიკურ საკითხებს და განსაზღვრავს დარგის კვლევის სფეროში არსებულ თანამედროვე პრობლემებს. ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო კურსისათვის სავალდებულოა სამაგისტრო ნაშრომის შესრულება.

ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამება მაგისტრატურის საფეხურს, ეყრდნობა ქართული ფილოლოგიის უმაღლეს დარგობრივ მახასიათებელს, არის ლოგიკური და შესაძლებელს ხდის დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

- ,,ქართული ლიტერატურის ისტორიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

- პროექტები:
- მესამე მისიის ხელშეწყობა :ინტერნაციონალიზაცია და აკადემიური პერსონალის პროდუქტიულობის ზრდა
- სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი პროექტი ,,ადამიანი, გარესამყარო, თანასამყარო“
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

მოხდეს ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგებით განსაზღვრული საკითხების სრულფასოვნად ასახვა სასწავლო კურსებში.

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

---

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამების სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. პირდაპირი შეფასებისას გამოიყენება საგნობრივი გამოცდები, პრაქტიკული დავალება, პროექტი, დარგობრივი პრაქტიკა, საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომი. არაპირდაპირი შეფასებისას გამოიყენება

პროგრამის ხელმძღვანელის დაკვირვება, სტუდენტების, კურსდამთავრებულების გამოკითხვა, დამსაქმებლების გამოკითხვა და სხვ.

ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამებისათვის შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი. მასში ასახულია პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების მექანიზმები, რომლებიც თავის მხრივ, საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს პროგრამის მოდიფიცირებას. პროგრამის საბოლოო შედეგის, კომპეტენციის საბოლოო მაჩვენებლის მიღებაში მონაწილეობს ის კომპეტენციები, რომლებითაც განისაზღვრება საბოლოო შედეგი, მიღწეულია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები, თუმცა სწავლის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებულია მხოლოდ რამდენიმე შედეგი, არ ჩანს სასწავლო კურსების მიხედვით საკვანძო სასწავლო კურსების, როგორიც არის ქართველური ენათმეცნიერება, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების შესაძლებლობა, აღნიშნული კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სწავლის შედეგები ცალკეულ სასწავლო კურსებში არ არის სრულფასოვნად ასახული. მიზანშეწონილია, სწავლის შეფასების მექანიზმი დაემყაროს ფილოლოგიის დარგის მნივნელოვან საკითხებს: ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის ქართული ლიტერატურისა და ქართული ენის, ასევე, ქართველური ენათმეცნიერების საკითხებს, ხოლო ქართული ლიტერატურის ისტორიის შემთხვევაში, ქართული ლიტერატურის პერიოდებისა და ლიტერატურის საკითხები, ისევე, როგორც საბაკალავრო ნაშრომი და სამაგისტრო ნაშრომი.

მნიშვნელოვანია, რომ ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამენის სწავლის შედეგების შეფასება უნდა დაემყაროს რეალურ ნიშნულებს, რათა მათი გათვალისწინება მოხდეს პროგრამის გასაუმჯობესებლალდ.

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)[8]

აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარდგენილი სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. სამაგისტრო ნაშრომი შეფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას.

უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 90 ქულით, ხოლო ნაშრომის ზეპირი წარდგენა - 10 ქულით. ნაშრომს ჰყავს რეცენზენტი, რომელიც წინასწარ ეცნობა ნაშრომს ცდა აფასებს. საბაკალავრო ნაშრომის შედასების კრიტერიუმებია: ნაშრომის ფორმალური მხარე (6 ქულა), წერის კულტურა (14 ქულა), შინაარსობრივი მხარე (70 ქულა); ზეპირი წარდგენა 10 ქულა.

საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შეფასებები ძირითადად, ფორმალური ხასიათისაა. ნაშრომებში კი შეინიშნება გარკვეული ხარვეზები, მათ შორის, არასამეცნიერო სტილით ჭარბი გატაცება, სამეცნიერო ლიტერატურის მითითების დროს ხარვეზები, თანამედროვე, უახლესი მეთოდოლოგიის ნაკლებად ასახვა ნაშრომებში და სხვ. მნიშვნელოვანია, ნაშრომების ხელმძღვანელების მეტი ჩართულობა ნაშრომების მომზადების დროს და რეცენზენტების მიერ ნაშრომების შეფასების დროს არსებით პრობლემურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება. დეტალურად იხ. 3. 1; 3. 2. 4. 2.

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით

აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- მაგისტრატურის დებულება
- პლაგიატის წესი
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი:
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი - ვებგვერდი - http://www.zssu.ge/zssu2/
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუს შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

რეკომენდებულია, მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, ან საერთოდ გამოირიცხოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში ხელმძღვანელის შეფასება.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სადოქტორო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შ კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები მორგებულია სტუდენტის აკადემიურ პროგრესზე და ამასთანავე, უნივერსიტეტი სხვადასხვა სერვისების საშუალებით სტუდენტებს ხელს უწყობს რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით აკადემიურ წრეებთან დაახლოებას. უნივერსიტეტი კლასტერის ფარგლებში სტუდენტებს სთავაზობს რეგიონში არსებულ დარგის წამყვან სპეციალისტებს, რომლებიც თავად არიან ჩართულები სამეცნიერო კვლევით და პედაგოგიურ საქმიანობაში. კლასტერში დაჯგუფებული პროფესორების უმეტესობა მონაწილეობს სხვადასხვა ადგილობრივ და

საერთაშორისო პროექტში, რისი მეშვეობითაც ხდება არსებული გამოცდილების გაზიარება რეგიონის სტუდენტებისთვის და სწორედ ამ ლექტორებისა და პროფესორების მეშვეობით სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ჰქონდეთ მრავალფეროვანი აკადემიური ცხოვრება. აღსანიშნავია ისიც. რომ ეს პროექტები ძირითადად, ისტორიის, არქეოლოგიისა და სხვა მომიჯნავე დარგებისათვის არის გამოზნული, თუმცა მასში ჩართულნი არიან ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულებიც.

კლასტერის ფარგლებში უნივერსიტეტს ჰყავს სტუდენტთა მცირე კონტიგენტი, რის გამოც სტუდენტებს, პროფესორებსა და ადმინისტრაციას შორის უშუალო და მეგობრული გარემოა ჩამოყალიბებული. სწორედ ამგვარი გარემო უზრუნველყოფს კლასტერში მოცემული პროგრამების სტუდენტებისთვის კომფორტულ აკადემიურ გარემოს, სადაც მათ შესაძლებლობა ეძლევათ, რომ ჰქონდეთ უკუკავშირი და კონსულტაციები აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების შესახებ. თითოეულ ლექტორსა და პროფესორს სტუდენტთა კონსულტაციისთვის კვირაში 5 საათი აქვს, ეს ხუთი საათი სტუდენტების ინტერესების მიხედვით ნაწილდება. ასევე, სტუდენტების სიმცირიდან გამომდინარე, კლასტერული პროგრამების ფარგლებში ლექტორებს სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობას მეტი ყურადღება ეთმობა.

სტუდენტებს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აწვდის ინფორმაციას შეფასების სისტემისა და გამოცდების ჩატარების წესების შესახებ. სტუდენტების შეფასების მექანიზმები და კრიტერიუმები წინასწარ არის გაწერილი კლასტერის პროგრამების ფარგლებში მოცემულ სასწავლო სილაბუსებში, რომელსაც ლექტორი სასწავლო სემსტრის დაწყების წინ აცნობს სტუდენტებს. სილაბუსში კვირების მიხედვითაა გაწერილი ცოდნის შემოწმების/ გამოცდების პერიოდი, რის გამოც სტუდენტს წინასწარ აქვს ინფორმაცია გამოცდების ჩატარების დროზე კონკრეტული კურსების მიხედვით. წერით გამოცდებს ატარებს საგამოცდო ცენტრი, რითაც უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურ, სამართლიან და კონკურენტულ სისტემას. სტუდენტებთან გასაუბრებების შედეგად დგინდება, რომ გამოცდების ძირითად ნაწილს საგამოცდო ცენტრი ატარებს. სახლში მოსამზადებელ დავალებებს კი  უნივერსიტეტის ონლაინ პლატფორმაზე ტვირთავენ, სადაც ყველა სტუდენტი ფლობს ინდივიდუალურ ანგარიშს (http://lms.zssu.ge/). პლატფორმაზე ატვირთულ დავალებებს პლაგიატზე ამოწმებს Turnitin-ის პლაგიატის სისტემა. ასევე სტუდენტების შეფასებები საგნების მიხედვით იტვირთება პლატფორმა იმავე (http://lms.zssu.ge/) პლატფორმაზე. სტუდენტები ინფორმირებულები არიან შეფასების გასაჩივრების წესსა და მის პროცედურებზე.

კლასტერის პროგრამების სტუდენტები გადიან აკადემიურ წერას, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ლექტორები მათ აწვდიან ინფორმაციას და უწევენ კონსულტაციებს აკადემიური წერის ტექნიკების შესახებ, რის საფუძველზეც უნდა შეიქმნას საკვალიფიკაციო ნაშრომები. უნივერსიტეტში შექმნილი უშუალო გარემო, ლექტორებთან უწყვეტი კომუნიკაცია და დეკანატის მზაობა სტუდენტს მიაწოდოს ინფორმაცია და სჭიროების შემთხვევაში მიიღოს სტუდენტის უკუკავშირი, ქმნის გამჭირვალე გარემოს. ყველა ფაკულტეტს ინდივიდუალური კურატორი ჰყავს, რომლებიც ეხმარებიან სტუდენტებს აკადემიურ გარემოში ორიენტირებაში. ამის მიუხედავად, საბაკალავრო

ნაშრომების გაცნობის შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ სტუდენტსა და აკადემიურ ხელმძღვანელს შორის არ არსებობს უკუკავშირი და აკადემიური წერის ტექნიკების შესაბამისად სტუდენტის კონსულტირება სათანადოდ არ ხდება. ვინაიდან საბაკალავრო ნაშრომებში დაღვეულია აკადემიური წერის მნიშვნელოვანი პრინციპები, როგორიცაა საკვლევი კითხვის დასმა, სათაურის სწორად შერჩევა, ნაშრომის სტილისტურ-ტექნიკური მხარე და სხვა. სამაგისტრო ნაშრომებში სათაური და ტექნიკური მხარე გაუმჯობესებულია, თუმცა ნაშრომების შინაარსობრივი და კვლევითი მხარე დასახვეწია. დეტალურად იხ. 3. 2. 4. 2.

სასწავლო პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებლები არიან კლასტერული პროგრამების ხელმძღვანელები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და ფაკულტეტის დეკანატთან ერთად. ისინი ერთობლივად მონაწილეობენ სტუდენტებისთვის შექმნან სასწავლო, შემოქმედებითი და სოციალური ინტეგრაციისთვის აუცილებელი გარემო. დადებითია ის ფაქტი, რომ ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას დაემატა 10-კრედიტიანი პრაქტიკის კომპონენტი, რაც სტუდენტს აუცილებელი პრაქტიკის გავლასა და კარირულ განვითარებაში დაეხმარება. ასევე უნივერსიტეტი ყოველწლიურად აქვეყნებს სტუდენტურ ალმანახს, სადაც ასევე დაჯგუფებული პროგრამების სტუდენტებსაც ეძლევათ ნამუშევრების გამოქვეყნების საშუალება.

თვითშეფასების ანგარიშიდან, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სტუდენტები ინფორმირებულები არიან საერთაშორისო მობილობის, დასაქმების, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების/კონფერენციების, ისევე როგორც საგრანტო პროექტების შესახებ. ისინი ამ ინფორმაციას უნივერსიტეტის უნიფიცირებული მეილების საშუალებით, სტუდენტების დეკანატის, კურატორებისა და პროფესორებისგან იღებენ, ისევე როგორც უნივერსიტეტის ოფიციალური საიტის მეშვეობით (http://www.zssu.ge/zssu2/). უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ზაფხულისა და ზამთრის სკოლებს, სადაც პროგრამის სტუდენტებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება.

დადებითი ფაქტორია, რომ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე არსებობს სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული კვოტები. უნივერსიტეტი სტუდენტებს სამი სახის სტიპენდიის მოპოვების შესაძლებლობას სთავაზობს: სახელმწიფო სტიპენდიის, შოთა მესხიას სახელობის სტიპენდიისა და ფაკულტეტის სტიპენდიის. იმ სტუდენტებს, რომლებიც ვერ ხვდებიან დაფინანსებულ კვოტებში ან მობილობით გადმოდიან საბაკალავრო პროგრამაზე უნივერსიტეტი თანხის წლიურ 8 ნაწილად განაწილებას სთავაზობს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევათ ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოსულ სტუდენტებს, ვისაც უნივერსიტეტი საერთო საცხოვრებელში დარჩენასა და სხვადასხვა სოციალურ სერვისს სთავაზობს. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ უფასო ფსიქოლოგის მომსახურებითაც. სტუდენტების მცირე კონტიგენტიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და ლექტორები მოქნილ გრაფიკს სთავაზობენ, რაც გამოიხატება კურსების სასურველ დროს ჩასმასა და მათ სემესტრულ განაწილებაში.

კლასტერის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა. კლასტერის პროგრამების სტუდენტების რეკომენდაციით უნივერსიტეტმა შექმნა „ციფრული ფილოლოგიის“ პლატფორმა, სადაც ატვირთულია დარგისთვის განკუთვნილი წიგნების დასკანერებული ვერსიები.

სტუდენტები პროგრამის, ლექტორების, კურსებისა და უნივერსიტეტის შესახებ უკუკავშირს ახორციელებენ სემესტრული და წლიური ანონიმური გამოკითხვების მეშვეობით. სტუდენტებს შეუძლიათ მოითხოვონ წიგნების დასკანერება და ელექტრონულად გაგზავნა. ასევე, სტუდენტებს შეუძლიათ მოითხოვონ სხვადასხვა ტიპის განცხადებები ადმინისტრაციისგან და მიიღონ 3 დღის ვადაში. სტუდენტები ინფორმირებულები არიან განცხადებით შენიშვნების დაფიქსირების წესზეც, რომელიც უნივერსიტეტის შინაგანაწესშია გაწერილი.

უნივერსიტეტს აქვს კარიერის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და კარიერულ ორიენტაციას. კლასტერის პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ სტუდენტებს ჩამოყალიბებული კარიერული და პროფესიული მისწრაფებები აქვთ. გასაუბრებაზე მოსული კურსდამთავრებულთაგან ყველა დასაქმებულია, რაც ასევე დადებითია. რამდენიმე სტუდენტს/კურსდამთავრებულს მონაწილეობა ჰქონდა მიღებული გაცვლით პროგრამაშიც. თუმცა მთლიანობაში კლასტერის პროგრამების სტუდენტებს უჭირთ საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში ჩართვა.

შეჯამებისთვის, უნივერსიტეტი კლასტერული პროგრამების სტუდენტებისთვის (და არამარტო) ქმნის უშუალო, მეგობრულ გარემოს, რომელიც მაქსიმალურად სტუდენტის ინტერესებზეა მორგებული. სტუდენტებს კლასტერული პროგრამების ფარგლებში ეძლევათ აკადემიური და კარიერული განვითარების შესაძლებლობა. უნივერსიტეტის ყველა რგოლი ზრუნავს სტუდენტის განვითარებაზე. არსებობს აკადემიური პროგრესის, უკუკავშირის, კონსულტირების, კარიერული ორიენტაციის, პროექტებში ჩართულობის, სტიპენდიებისა და დაფინანსებების მიღების ეფექტური მექანიზმები.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების ანგარიში
- ვებ გვერდი (http://www.zssu.ge/zssu2/node/1376)
- ადგილობრივ და საერთაშორისო აქტივობებში სტუდენტთა ჩართულობის დოკუმენტები/ინფორმაცია
- დაგეგმილი და განხორციელებული კონსულტაციები, პერსონალის დატვირთვა კონსულტაციების მიხედვით
- ინტერვიუს/გასაუბრების შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

სასურველია, შემუშავდეს და განხორციელდეს პროგრამები და პროექტები ფილოლოგიის კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისათვის.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მაგისტრატურის ხელმძღვანელის და საჭიროებისამებრ თანახელმძღვანელის არჩევის, შეცვლის, უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის მარეგულირებელი დოკუმენტი „სსიპ - შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება“, სადაც გაწერილია ყველა ის სტანდარტი, რაც სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის ხელმძღვანელსა და მაგისტრანტს შორის არსებობს. ამავე დოკუმენტშია გაწერილი ვინ შეიძლება იყოს სამაგისტრო ხელმძღვანელი და რა კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს მას.

ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ კლასტერში მოცემული სამაგისტრო პროგრამა - ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამას ყოველწლიურად ჰყავს 8 მაგისტრანტი, რაც სრულ შესაბამისობაშია აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებლი აკადემიური პერსონალის რაოდენობასთან - 24, ვისაც აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია. მაგისტრატურის ხელმძღვანელთა რაოდენობაა 6, რაც თანაფარდობაშია მაგისტრანტთა რაოდენობასთან და თავისუფლად იძლევა შესაბამისი კონსულტაციებისა და მხარდაჭერის ეფექტური განხორციელების შესაძლებლობას. მაგისტრატურის ხელმძღვანელის ხელშეკრულების სახით კლასტერის ფარგლებში უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს კლასტერში დაჯგუფებული მაგისტრატურის ხელმძღვანელის ხელშეკრულება.

შოთა მესხიას უნივერსიტეტს აქვს აკადემიური პერსონალის დატვირთვისა სქემა, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის დატვირთვის შესაბამისობას. ხოლო ხელმძღვანელის მაგისტრანტთა ხელმძღვანელობის ეფექტური და ხარისხიანი შედეგისთვის უნივერსიტეტი ხელმძღვანელობის პროცესის ხარისხს აკონტროლებს „მართვის პოლიტიკის“ ფარგლებში. მართვის პოლიტიკა სამაგისტრო პროგრამას მაგისტრანტთა ხელმძღვანელობის ხარისხიანობისა და ეფექტურობის შესაფასებლად სთავაზობს თვითშეფასებას, შეფასებას, კმაყოფილების კვლევას. უნივერსიტეტს მაგისტრანტთა და ხელმძღვანელთა თანაფარდობის მეთოდოლოგია აქვს, რაც უზრუნველყოფს მაგისტრანთა და ხელმძღვანელთა ეფექტურ თანაფარდობას. იმის მიუხედავად, რომ უნივერსიტეტში არსებობს მაგისტრანტთა ხელმძღვანელობის დანერგილი წესები, აკადემიური წერის სტანდარტები, რომელიც ასევე გაწერილია უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში, ვიზიტის ფარგლებში მოთხოვნილი სამაგისტრო ნაშრომები სრულად ვერ აკმაყოფილებდა აკადემიურ-სამეცნიერო სტანდარტებს. სამაგისტრო ნაშრომის კვალობაზე სტუდენტები იყენებენ საკმაოდ მცირე ლიტერატურას, რომელსაც ისინი ასევე ვერ უთითებენ აკადემიური წერის სტანდარტების

შესაბამისად. მაგალითად, გამოყენებული ლიტერატურა ბიბლიოგრაფიაში არაა მითითებული სრულად, მითითებულია ვიკიპედიის ბმულები, ან მხოლოდ ბმულები სტატიის, ავტორის, გამოცემის წლისა და სხვა დეტალების მითითებების გარეშე. აღნიშნული ხარვეზები და შენიშვნები არაა ასახული რეცენზენტთა რეცენზიებში, - რეცენზიები ნაშრომის აღწერას ჰგავს და არა რეალურ უკუკავშირს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნული პრობლემა შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სისტემური ხასიათისაა და აკადემიური პერსონალი არ ზრუნავს მის გაუმჯობესებაზე.

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები<br><br>პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)[9] | |
|---|---|
| სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | **6** |
| //სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების რაოდენობა | **8** |
| //დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | **0.75** |
| თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები | |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

[9] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- მაგისტრანტთა ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ხელშეკრულების ფორმა
- ჩატარებული კონსულტაციები
- სამაგისტრო პროგრამაზე მაგისტრანტთა და ხელმძღვანელთა თანაფარდობის მეთოდოლოგია
- აქტიური სტატუსის მაგისტრანტთა და ხელმძღვანელთა თანაფარდობა
- ინტერვიუს შედეგები
- ადგილზე მოთხოვნილი დოკუმენტები
- ხელმძღვანელთა კვლევითი საქმიანობა

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

გაუმჯობესდეს ხელმძღვანელთა კონსულტაციები საკვალიფიკაციო ნაშრომებში აკადემიური წერის სტანდარტების შესრულების შესახებ.

რეცენზენტებმა რეცენზირებისას აჩვენონ რეალური უკუკავშირი, ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეებით და რეკომენდაციებით.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

რჩევ(ებ)ი:

**პროგრამა 2** (ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის ისტორია, საფეხური) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის ისტორია, მაგისტრატურა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

შოთა მეხსიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო

პროგრამებს ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომელთაც აქვთ პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენციები. ორივე პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები შერჩეულია პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხის, სწავლებისა და კვლევის სათანადო გამოცდილების საფუძველზე. ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოყვეყნებული პუბლიკაციები ადასტურებს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციას, მოწვეული პერსონალის კომპეტენციები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების გამომუშავებას. სასწავლო პროცესის წარმართვა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება ეფუძნება აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლებისა და სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემის დაბალანსებას. აკადემიური პერსონალის დატვირთვა გულისხმობს სასწავლო-საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას. პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობას. ორივე საფეხურზე პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 24 აკადემიური და მოწვეული პირი. მათ შორის 13 აკადემიური პერსონალია, 2 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ერთი ხელმძღვანელი, ხოლო ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას - ორი. კლასტერში წარმოდგენილი ორივე პროგრამის ხელმძღვანელთა კომპეტენცია სათანადო პროგრამების სასწავლო-სამეცნიერო სპეციფიკის შესაბამისია, რაც დასტურდება მათ მიერ წაკითხული კურსებით, გამოქვეყნებული ნაშრომებით, დარგის შესაბამისი განათლებით. ისინი ჩართული არიან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სასწავლო-სამეცნიერო აქტივობებში, სტუდენტების კონსულტირებასა და ორგანიზაციული საკითხების მოწესრიგებაში, ასევე პროგრამების მუდმივი სრულყოფის მიზნით - სათანადო მონიტორინგის პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელები არ წყვეტენ კავშირს კურსდამთავრებულებთან, ისინი ავლენენ ადგილობრივ და საერთაშორისო სივრცეში კურსდამთავრებულთა პროფესიული დასაქმების მხარდაჭერის ინტერესს.

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო და ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს ემსახურება შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისება და შესაბამისი შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სათანადო ადმინისტრირებით, საბიბლიოთეკო რესურსებით, ინფორმაციული ტექნოლოგიებით, სტუდენტური სერვისებით გათვალისწინებული დამხმარე პერსონალის მომსახურებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია ბაკალავრიატი)

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 2 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი და 7 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ სპეციალისტებთან არის 12/7, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან 19/63, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის ისტორია, მაგისტრატურა)

ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 1 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 5 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ სპეციალისტებთან არის 6/5, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან 11/8, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს.

| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგია, ბაკალავრიატი)[10] | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[11] | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[12] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | **19** | **9** | **9** | **11** |
| - პროფესორი | 2 | 2 | 2 | 2 |
| - ასოცირებული პროფესორი | 10 | 6 | 6 | 9 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | 0 | 0 | 0 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 7 | 1 | 1 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | _ |

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის ისტორია, მაგისტრატურა)

ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 1 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი და 5 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ სპეციალისტებთან არის 6/5, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან 11/8, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ პედაგოგიური და

---

10 საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

11 ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

12 საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილება. აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციებს.

| პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის ისტორია, სამაგისტრო)[1] | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[2] | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[3] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ აკადემიური პერსონალი | 11 | 7 | 6 | 6 |
| - პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასოცირებული პროფესორი | 5 | 5 | 4 | 5 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | 0 | 0 | 0 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 5 | 1 | 1 | _ |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | _ |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა და აკადემიური თანამდებობის პირის ინდივიდუალური დატვირთვის მაჩვენებელი
- თანამდებობრივი ინსტრუქციების ამსახველი დოკუმენტები
- ინტერვიუების შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

...............

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი<br>4.1 ადამიანური რესურსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და

საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)[13] | | | |
|---|---|---|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | ნაშრომების ხელმძღვანელები | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები[14] | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 6 | 6 | 6 |
| - პროფესორი | 1 | 1 | 1 |
| - ასოცირებული პროფესორი | 5 | 5 | 5 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | | |
| მოწვეული პერსონალი | 0 | | – |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | | – |

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (ქართული ლიტერატურის ისტორია, მაგისტრატურა)

სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი განსაზღვრულია შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებით. დებულების მე-14 პუნქტის მიხედვით, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სასწავლო უნივერსიტეტის

13 საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

14 საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული სპეციალისტი (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე), რომელსაც აქვს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება.

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია და სამეცნიერო კვლევის გამოცდილება სათანადო სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის ადეკვატურია. აკადემიური და მოწვეულ პერსონალის კომპეტენციები დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით (პირადი საქმეები).

წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები უწევენ მაგისტრანტებს სამეცნიერო კონსულტაციებს, ეხმარებიან მათ თემის შესაბამისი ბიბლიოგრაფიის მოძიებაში, აკადემიური ნაშრომის შექმნაში, არიან დაინტერესებული ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კვლევის შედეგების პრეზენტირებით და გამოხატავენ სათანადო მხარდაჭერას. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომები ვერ აკმაყოფილებს აკადემიური წერის სტანდარტს, არის სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის, რელევანტური სამეცნიერო წყაროების გამოყენების დანაკლისი, რის შესახებაც არ არის მითითება სათანადო რეცენზიებში. საჭიროა სამეცნიერო ხელმძღვანელთა უფრო მეტი ინტენსივობით ჩართვა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში, რეგულაციით გაწერილი მოვალეობების ზედმიწევნით შესრულება (რეცენზიის შეფასებითი ფუნქციის რეალიზება), დამატებითი ღონისძიებების გატარება აკადემიური სტანდარტის დაცვის გასაუმჯობესებლად.

უნივრსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტებთან /ხელმძღვანელების ინდივიდუალური მუშაობის შემოწმების მიზნით ატარებს სტუდენთა კმაყოფილების კვლევას, რითაც დასტურდება პროცესის შედეგები და იკვეთება მიმდინარე გასაუმჯობესებელი საჭიროებები.

დაცული სამაგისტრო ნაშრომების ადგილზე დათვალიერებით და ინტერვიუებით გამოვლინდა ზოგიერთი გასაუმჯობესებლი მხარე: საკვლევი პრობლემატიკის მიზნობრივი იდენტიფიცირება, აკადემიური ნაშრომის შესრულების სტანდარტის დაცვა, რელევანტური სამეცნიერო წყაროების გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- მაგისტრატურის დებულება
- სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა პირადი საქმეები
- დაცული სამაგისტრო ნაშრომები
- ინტერვიუების შედეგები

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სამაგისტრო ნაშრომში კვლევითი კომპონენტი, მოხდეს საკვლევი პრობლემატიკის მიზნობრივი იდენტიფიცირება, დაიხვეწოს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების სათაურები, დაცული იყოს აკადემიური ნაშრომის შესრულების სტანდარტი, ნაშრომებში გამოყენებული იყოს რელევანტური სამეცნიერო წყაროები და სამეცნიერო სტილი.

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამა)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (ქართული ლიტერატურის ისტორია, მაგისტრატურა) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

